

**ზედსართავ სახელთა კოლოკაციები
ქართულში
(დიდი/პატარა)
On Adjective Collocations of Georgian
Language
(big/small)**

**ზურაბ ოქროპირიძე
Zurab Okropiridze**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities*

საკვანძო სიტყვები: კოლოკაციები; ზედსართავი სახელი;
კორპუსის ლინგვისტიკა
Key words: Collocations; Adjective; Corpus Linguistics;

მოხსენებაში გაანალიზებულია ზედსართავი სახელების დიდი და პაგაჩას სემანტიკური გადანევა, რისთვისაც ჩატარდა კორპუსის ლინგვისტური კვლევა, რომელიც ეფუძნება მასალის მანქანურ დამუშავებას. მოხსენებაში განხილულია ზედსართავი სახელების დიდი/პაგაჩა სალექსიკონო (ქეგლი) მნიშვნელობები და შედარებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან მიღებულ მასალასთან.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილია ზედსართავი სახელის – დიდი 14 მნიშვნელობა, ხოლო ზედსართავი სახელის – პაგაჩა 5 მნიშვნელობა. ვინაიდან მოცემული სიტყვები ანტონიმებია, მნიშვნელობათა რაოდენობის ამხელა განსხვავებამ გვიბიძგა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მოგვეძებნა კოლოკაციები, სადაც დიდსა და პატარას პოსტპოზიციური მსაზღვრელის როლი ექნებოდათ, რათა გვენახა ნამდვილად განაპირობებს თუ არა საზღვრული სიტყვა მსაზღვრელი სიტყვის სემანტიკის გადანევას. მიღებული მასალა დავიყვანეთ თვისობრივად საკმარის რაოდენობაზე და დავაჯგუფეთ ქეგლ-ში წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

კოლოკაციების კვლევამ აჩვენა, რომ ზედსართავი სახელის დიდი ქეგლ-ში წარმოდგენილი მნიშვნელობების ანალოგიით, ზედსართავ სახელს პაგაჩა ორი სალექსიკონო მნიშვნელობა უნდა დაემატოს, კერძოდ, **ჩვეულებრივზე ნაკლები, ზომაზე ნაკლები თავისი ფიზიკური ძალით** (პატარა დარტყმა) და **ჩვეულებრივზე ნაკლები, ზომაზე ნაკლები თავის ფსიქიკური ზემოქმედებით** (პატარა სევდა). აღსანიშნავია, რომ სემანტიკური არათავსებადობის შემთხვევებში, ანუ მაშინ, როცა არსებითი სახელის მნიშვნელობა თავისთავადაა ზედსართავი სახელის მნიშვნელობის საპირისპირო, კოლოკაციებში ზედსართავი სახელები, მეტაფორულად არის გამოყენებული და კოლოკაცია იღებს ირონიულ, ოქსიმორონულ მნიშვნელობას (პატარა ქარიშხალი).

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ ზედსართავი სახელის დიდი თოთხმეტი მნიშვნელობიდან, რამდენიმე ერთმანეთს გულისხმობს და შესაძლებელია მათი შეერთება-გაერთიანება. კერძოდ, ჩემი აზრით, დიდის სამი მნიშვნელობა – „გამოჩენილი, თვალსაჩინო“ „მონივნების ეპითეთი“ და „წოდებრივი ტიტულის მსაზღვრელი“ შესაძლებელია გაერთიანდეს დიადის მნიშვნელობის ქვეშ. ვფიქრობ, უნდა გაერთიანდეს ლექსიკონში წარმოდგენილი შემდეგი მნიშვნელობებიც – „რაოდენობით მეტი“ და „ხანგრძლივი, ბევრი.“ ასევე ვფიქრობთ, რომ დიდის ზოგიერთი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს სხვა მნიშვნელობები, კერძოდ მნიშვნელობიდან – „ჩვეულებრივზე მეტი სიდიდით“ გამომდინარეობს „მსაზღვრელი – ზოგიერთი ადგილის, გეოგრაფიული სახელისა“; მნიშვნელობიდან – „დიდად, ძალიან“ – „ჩვეულებრივზე მეტი, თავისი თვისებით“;

მნიშვნელობიდან – „გამორჩეული მნიშვნელობით“ – „განსაკუთრებული ისტორიული ან პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე.“

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კვლევისას შერჩეული მასალის ლინგვისტური ანალიზი.

ლიტერატურა:

გამყრელიძე 2008: გამყრელიძე თ., კვიციანი ზ., შადური ი., შენგელაია ნ., „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2008. 23 – 26.

თანდაშვილი 2020: თანდაშვილი მ.; „ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები“; გამომცემლობა - „უნივერსალი“; 2020. 7 – 15.

თანდაშვილი 2014: თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ.; „კორპუსლინგვისტიკა (გლოსარიუმი და რეგისტრი)“; ფრანკფურტის უნივერსიტეტის პრესა; 2014. 31 – 33.

ომიაძე 2006: ომიძე ს.; „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“; სადისერტაციო ნაშრომი; 2006. 73 – 85.

ჩიქობავა 2008: ჩიქობავა ა.; „ენათმეცნიერების შესავალი“; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2008. 15- 16.

ხალვაში 2018: ხალვაში რ.; „დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი“; გამომცემლობა - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; 2018. 19.

ხუნდაძე 1927: ხუნდაძე ს.; „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“; კომუნალური მეურნეობის სტამბა; 1927. 4.

Brezina 2018: Sinclair J.; „Statistics in Corpus Linguistics: A Practical Guide“; Cambridge University Press, journal of quantitative linguistics; 2018. 1.

Sinclair 1991. Sinclair J.; „Corpus, Concordance, Collocation“; Oxford University Press; 1991. 109 – 121.

Statistics in Corpus Linguistics: A Practical Guide, by Valclav Brezina, Cambridge, Cambridge University Press, 2018

ინტერნეტრესურსები:

<http://tandaschwili.com/>

<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

<http://www.ena.ge/explanatory-online>

The paper deals with the semantic shifts of adjectives დიდი *big* and პატარა *small*. Empirical evidence is based on the Georgian National Corpus.

According to the Explanatory Dictionary of the Georgian Language, the adjective დიდი *big* has 14 different meanings, and the adjective პატარა *small* has 5 meanings. Since these words are antonyms, such a large difference in the number of meanings prompted us to look for phrases in the Georgian National Corpus, where *big* and *small* would play the role of a post-positional delimiter, to see if the noun really changes the semantics of the word. The data were

obtained in a qualitatively sufficient quantity and grouped according to the semantic groups presented in the dictionary.

The study of phrases showed that, by analogy with the meanings of the adjective *big*, two lexical meanings have to be added to the adjective *small*: less than usual, less than its physical strength (პატარა დარტყმა - *small blow*) and less than usual, less than its mental impact. (პატარა სევდა - *a little melancholy*). It should be noted that in cases of semantic incompatibility, when the meaning of the noun in itself is opposite to the meaning of the adjective, adjectives in colloquia are used metaphorically, and the phrase acquires an ironic, oxymoronic meaning (პატარა ქარიშხალი - *little storm*).

It's possible to combine different meanings of the adjective *big*. The three meanings of *big* – “outstanding”, “an epithet for special respect”, and “adjectives used in the rank title”—may be combined under the meaning of დიადი *great*. The dictionary should combine the following meanings – “more” and “long, many”. Some meanings are derived from other meanings, in particular from the meaning – “larger than usual” comes from “adjacent - some place, geographical name”; From the meaning – “strong, very” – “more than usual, with its own features”; From the meaning – “with a distinctive meaning” – “having a special historical or political significance”.

The paper will present a linguistic analysis of the selected material during the study.